

572
1949

ღილა

„აქვადი, ტურა ქვეყანა,
იღბნე, ქართველთა მხარეთა,
და შენც, ქართველთა სწავლასა
სამშობლო გაახარე.“



№ 3 მარტი 1949

ჩვენი ვაშა და ჩვენი სიხარული

ჩვენი ვაშა და ჩვენი სიხარული
შენა ხარ და შენ იქნები ეოველთვის.
დღეს ნორჩების ხალასი სიყვარული
შენსკენ ფრინავს,
მონაგარდობს, მოკელტვის.

შენით სუნთქავს ჩვენი სკოლის კერია,
ჩვენი დაფა, წიგნები და რვეული.
შენ მშვიდობის ნიშანი ხარ, ბერია,
ცისარტყელა—სხივში გამორეული.

შენი ერთი სიტყვა გასწვდა ათასებს,
ვინ არ ამბობს:

„სწავლისათვის მზადა ვარ!“

ეც სახელი,
ქვეყანა რომ აფასებს,—
თაობიდან თაობაზე გადავა.

ი. გრიშაშვილი





ღვრენტი პავლეს-ძე სენია





შეხვედრა მერხეულში

მდინარე მაქარას მორეცს დიდი წიფელი გადაჰფარავია, შიგ წყალში გაუღდამს დაგრებილი ფესვები, ტანი კი ისე აქვს გადაზნექილი, გვერანება აგერ-აგერ წაიქცევაო. ეს წიფელი კი ნახევარი საუკუნეა რაც ასე ღვას.

1942 წლის შემოდგომის მოწმენდილი დილა იყო, მორევთან შვიდი ბავშვი შეკრებილიყო. ისინი გუშინ, მთელი დღე სათევზაოდ ემზადებოდნენ; ფხვიერი მიწით მოუფინეს ძირი ბოთლს, შემდეგ კირი მოაყარეს ბლომად, მაგრად დაუცვეს თავი, თავსაკობში კი ბოლოებწაჭრილი ბატის ფრთა ჩაარკვეს.

მოულოდნელად მორევთან მსუბუქმა აეტომანქანამ მოიქროლა. ცხელოდა. მანქანიდან ერთი კაცი გადმოვიდა. ხალათის საყელოს ორი ზედა დილი შეხსნილი ჰქონდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შეოფლიანებული მალალი შუბლი შეიმშრალა.

ის მკვეთრი ნაბიჯით წამოვიდა პირდაპირ ბავშვებისაკენ. არ ელოდნენ ბავშვები უცხო სტუმარს. გაოცდნენ. ყველაზე უმცროსმა გაქცევაკ კი დააპირა, მაგრამ სტუმარმა თითქოს განგებ მისკენ გადადგა ნაბიჯი და გზა მოუჭრა. მის მომღიპარ სახეს შეაკტვრდნენ ბავშვები და სიმხნევე შეემატათ.

— „ას-ასი დაგეჭიროთ თვითფულს“, — მისვლისთანავე უსურვა ბავშვებს სტუმარმა, იქვე ქვეზე ჩამოჯდა და დაკვირვებით შეათვალიერა ისინი. ვიწრო წრედ შემოერტყნენ ბავშვები. სტუმარმა ოთარს გაუსწორა მზერა — ჩვენი მეთაური გამოიკნოო, — იფიქრეს ბავშვებმა; ოთარს კი ალი მოსდებოდა სახეზე. თითონაც შესკტვროდა სტუმარს. მერე კი ოდნავ გაიწია და თავი დახვარა. წამოდგა, ოთარს მსუბუქად დაადგა მხარზე ხელი და დაბალი ხმით ჰკითხა:

— ვისი შვილი ხარ ბიჭიკო შენ?

— კვარაცხელიასი, — მკვირცხლად უპასუხა ოთარმა.

— ნიკოსი? — და როცა ბავშვი გაიყუჩა, მაშინ უფრო იგრძნო მხარზე დადებული მარჯვენა.

— წადი, მამაშენს უთხარი განაკაფში ამოვიდეს, ლავრენტი გელოდებათქო, ლავრენტი!

— ლავრენტი, უთუოდ ის არის, ნამდვილად, დედა ნუ მომიკვდება ის არის, ჩვენი ლავრენტი. ფიქრებში გართულ სტუმარს შემოსცლოდნენ ბავშვები, სხვადასხვა მიმართულებით მიჰქროდა თვითფული.

მარცხენა ხელი ჩაჰყო მდინარეში, პეშვით ამოღებული წყალი შესვა, სახეზე სველი ხელი მოისვა, ანთებული თვალი შეაელო მიდამოს.

აი, სულ ახლოს პატარა ფერდობია, ეს მისი ეზოა, ეზოს კიშკართან მწყრივად ატყორცნილან ნაძვისხენი. რა პატარები იყვნენ ისინი ოცდაათი წლის წინათ. ამ ეზოში იღვა პატარა ოდა-სახლი, აქ აეხილა თვალი, აქ დაიარწა მისი აკვანი, აქ „სისა ტურასა“ და „ძილისპირულს“ უმღეროდა დედა, ღიმილი მოეფინა სახეზე, შეიცნო ყოველი ხე და ჩირგვი, ქვეითად აჰყვა მდინარის ნაპირს თანამგზავრებთან ერთად.



4932

მერცხალივით შემოფრინდა ბავშვი ეზოში, კიშკარი არ გაუღია, ლობეს გა-
დმოახტა და ხალათი შეხაზია.

ზის ოდასახლის აივანზე ნიკო კვარაცხელია, მოკუტუღი თვალებითა: გასცქე-
რის მთებს და ფიქრისთვის ვერ წაურთმევეა თავი...

— ბაბა, ბაბაია! — გაიწკრიალა ბავშვის ხმამ ეზოში.

— ბაბაია, ლაერენტი გიბარებს, ჩვენი ლაერენტი, განაკაფში ამოვიდესო!

მოხუცი წამოდგა, მხრებზე დაადგა შეიღს ხელები, თვალი გაუყარა თვალში
და ღარწმუნდა ნამდვილი იყო.

— აბა, ჩემი ახალი ახალუხი შეიღო, ოთარ, ჩემი ყამა ჩამომიხსენი, ახალი
ბაშლიცი, — იჩქაროდა მოხუცი... გახსოვს ბაბაჩია ლაერენტი, ცხრაფეხა დამიჭირეო
მეხვეწებოდი, რვა წლისა სოხუმში წაგიყვანა დედამ სასწავლებლად, ზაფხულობით
კი მერხულში იყავი, ლორჯოებს იჭერდი ანკესით და ფაცერს უგებდი კალმა-
ხებს, გახსოვს?! მაგრამ რადროს ამისი გახსენება შეიღო, თავაწყვეტილი ომია
ახლა.

* * *

ნიკომ შორიდანვე იცნო ლაერენტი ბერია, თანამგზავრები და კოლმეურნეები
შემოჰხვეოდნენ ირგვლივ. უბრალო, სადა, ოდნავადაც არ შეცვლილა, ისეთივე მკეთ-
რი, გულშიჩამწვდომი ხმა. შეუმჩნეველად უნდოდა მისვლა, ხელის შეშლას მოერიდა,
მაგრამ ლაერენტემ როგორც კი თვალი მოჰკრა, თვითონვე გაუღიმა, სწრაფად გა-
დმოდგა ნაბიჯი მისკენ, მაგრამ ჩამოართვა ხელი და გადაეხვია.

* * *

გამოთხოვების შემდეგაც დიდხანს გასცქეროდა ნიკო კვარაცხელია მთაში
მიშავლ გზას. ვაკეატურად მიაბიჯებდა იგი თანამგზავრებით გარშემორტყმული.
ტრემლი ბრწყინავდა მოხუცის თვალებში.

საჩუქარი

დღეს ხათუნას დღეობაა. შეთვალა, ხუტუპა გოგონა შვილი წლისა შესრულდა. ის დილიდანვე ეშხადება თავისი პატარა მეგობრების შესახებდრად. მერე რამდენი მეგობარი უნდა მოუვიდეს, თითებზე ვერც კი დაითვლის: ცელქი და მოუსვენარი ვახტანგი, ნაზი და უწყინარი მანანა, ბუთბუზა ბიჭი ჩინო, ცისფერთვალემა გოგონა ნანა.

ნანაც ალტაცებულია. სულ იმ წუთზე ფიქრობს, როდესაც დედასთან ერთად, ხელიხელ ჩაკიდებული, ხათუნასთან წავა. ის დილიდანვე ეშხადება; ხელ-პირი საპნით დაიბანა, თმა გულმოდგინეთ დაივარცხნა. დედამ ცისფერი ბანტით შეუკრა ლამაზად დაწული თმები.

დედა-შვილი წასასვლელად მზად იყო. ისინი მხოლოდ მამას-ლა ელოდნენ. ისიც მოვიდა.

მისთვის ჩვეული ღიმილით შემოვიდა მამა. ქუდი მოიხადა, ქალაღში შეხვეული და კანაფით შეკრული პატარა პაკეტი მაგიდაზე დასდო, მერე, ნანა ხელში აიყვანა და მიუალერსა.

— აბა, ჩემო ქვიანო გოგონი, ბევრი იმხიარულე, ოღონდ ცოტა იცელქე! — დაარიგა წასვლის წინ მამამ, — ქალაღში შეხვეული მისალოცი პაკეტი გადასცა და დაუმბატა, — ეს შენს პატარა მეგობარს საჩუქარად წაუღე...

ნანამ საჩუქარი იღლიაში ამოიღო, დედას ხელი მოჰკიდა და გულის ფანქვალით გაეშურა ხათუნასაკენ.

დღეობაზე ნანას სიხარულით შეეგებნენ. როდესაც პალტოები გაიხადეს, დედამ ნანას საჩუქარი გამოართვა, კანაფი შეხსნა, ქალაღი შემოაცალა და ისევ ნანას მიაწოდა, — შენი საჩუქარი შენვე გადაეციო.

ნანამ მხოლოდ ახლა ნახა თუ რას ულოცავდა ის. ორივე ხელი მოჰკიდა და განცვიფრებული დააქტერდა.

შინდისფერ ხავერდის ჩარჩოში ლავრენტო ბერიას სურათი იყო ჩასმული.

ძია ლავრენტის მოლომარე სახის დანახვაზე ნანამ სიხარული იგრძნო. ნანა პატარა იყო, მაგრამ მაშინვე თვალწინ წარმოუდგა ბერიას მოედანი, სანაპირო ქუჩა, მთაწმინდის ბაღი, კომკავშირის ხეივანი. ის ადგილები თვითონაც ენახა დედასთან გასეირნების დროს. ვახსენდა დედის ნათქვამი, რომ ყველაფერი ეს ძია ლავრენტიმ გააშენა და გაამშენიერაო.

— მიეცი, შვილო, მიეცი შენი საჩუქარი! — უთხრა დედამ ნანას.

— არ მიეცემ! — უპასუხა ნანამ და სურათი მაგრად ჩაიკრა გულში.

— აბა, ეგ როგორ შეიძლება, თუ მოუტანე, უნდა აჩუქო კიდევ. — არიგებდა დედა.

— მე არა მაქვს ძია ლავრენტის სურათი, განა მე კი არ მინდა?! — თქვა ნანამ და თავი ჩალუნა.

— ჩემო გოგონი, ეს მიეცი და მამა შენც მოგიტანს. დამიჯერე!

ნანა შეეცოყმანდა, მაგრამ დაპირებამ გასჭია. თაქნაღუნული, გვერდზე ცქერით მიუახლოვდა ხათუნას, საჩუქარი გადასცა და უთხრა:

— ხომ კარგი საჩუქარი მოგიტანე?!

— კარგი, ძვირფასი! — უპასუხა ხათუნამ და ხელი გადახვია, აკოცა.

იმ დღეს ბევრი იმხიარულეს, ითამაშეს, იცეკვეს, ლექსებით თქვეს, ტბილ ნამცხვრებსაც შეეჭკნენ, მაგრამ ნანას გულნატკენობა მიიწე ეშწნეოდა.

მხოლოდ მეორე დღეს გაიხარა მან.

მამამ ნანასაც მოუტანა შინდისფერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული ძია ლავრენტის სურათი, რომელიც ნანამ თავის კუთხეში, მაგიდის თავზე, ძია სტალინის სურათის გვერდით მოათავსა.

ხარატები

არ გვჭირია გრდემლი, ურო—
და ქურასაც არ ვანთებთ,
ამიტომაც ცვივად მიჭრელებს
გვიწოდებენ ხარატებს!

თუ გვეწვევით საამქროში,
მაშინ ნახავთ თქვენ თვითონ,
რანაირად ვამუშავებთ
ხარატები ცივ ღითონს.


დაზგებს ჩაერთავთ, ელექტროძრავს
გააქვს გუგუნ-გრიადი
და იწყება საამქროში
შრომა ხადისიანი.

ღითონს საჭრისს ეუმარჯვებთ და
ჩარხვაც არ იგვიანებს;
სსრრ...სსრრ... ჭრის საჭრისი,
ძრავი ძგერს და გრიადებს—
ჩვენ ვამზადებთ ქანჩს, ჭანჭიკებს,
ღერძებს, თვლებს და კბიდანებს!

ზოგიერთი მწარხავია,
ზოგი კიდევ—მლარავი;
ოსტატობით რომ გვაჯობოს,
ვინ იქნება?!

—არავინ!

სსრრ...სსრრ... მღერის დაზგა,
დაზგას ჩვენც ვეშველებით;
ჭრის საჭრისი და ძირს ცვივა
რკინის ბურბუშელები.





გიორგი შაგვარაშვილი

ქონდარა

ქონდარა წელს გადავიდა მესამე კლასში. მას ნამდვილად ილო ჰქვია, ილო საყვარელიძე. ის მართლაც გაღებული და პატარა ტანისაა, ამიტომაც ბავშვებმა მეტსახელად ქონდარა შეარქვეს. დათო ჯმუხაძე და ქონდარა ერთ მერხზე სხედან. დათო კლასში ყველაზე უფროსია, ლონიერი და ჩხუბისთავი. ის დარჩენილი მოსწავლეა. შარშან ქართულში ორიანი მიიღო, ამის გამო დათომ მასწავლებელი შეიძულა.

აჲ, ახლა დასვენებაა. დათო ქონდარას გვერდით მისჯდომია და არიგებს:

— ქართულის მასწავლებელი ყველაზე ცუდია. ერთი შეხედვით თითქოს კეთილია, მაგრამ რომ იცოდე, რა ბოროტია. საკმარისია, მცირე რამ შეგეშალოს და ორიანი მზადაა. ხელად მამას გამოიძახებს!

— მე მამა ფრონტზე დამელუპა. — ამბობს ქონდარა.

— მაშინ დედას დაიბარებს. თუ დედაც არა გყავს, ბებიაშენს მოიყვანს. ეცადე მიზეზი არ მისცე თორემ...

და დათომ თავისი დიდი მუჭტი ქონდარას ცხვირწინ აუთამაშა. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა. დასვენება დამთავრდა. მოსწავლეებმა მერხებს მიაშურეს. კლასში ნინო მასწავლებელი შემოვიდა. მოსწავლეები ფეხზე წამოდგნენ. დათო უხალისოდ, ნელ-ნელა წამოდგა და მერხზე დაბრილი გაჩერდა.

— რა დაგეშართა ჯმუხაძე, წელი ხომ არა გტყვია? — შეეკითხა მასწავლებელი. ყველას გაეცინა. დათო გაწითლდა, ლოყები დაბერა და წელში გასწორდა.

ი. ტ ა ი ც ის მოთხრობის მიხედვით.

— აი, ასე, გამარჯობათ! ახლა დასხედით, დღეს ახალ გაკვეთილს აგისწნით.

მასწავლებელი მიბრუნდა და დაფაზე ლამაზი, მხვილი ასოებით დასწერა:

ვ ა ე კ ა ც ი მ უ ღ ა მ ს ი მ ა რ თ ლ ე ს ...

უცებ კლასში ხმადაბალი, ხანგრძლივი სტვენა გაისმა. მასწავლებელი მაშინვე მობრუნდა და ისე, — რომ დაფისთვის ცარცი არ მოუშორებია, ბავშვები გადაათვალიერა. ქონდარას შავი თვალები მასწავლებლის თვალებს შეხვდნენ. მან გაიფიქრა: „რა იქნება, რომ მასწავლებელმა ახლა მკითხოს: ქონდარა, ხომ არ დაგინახავს, ვინ დაუსტვინა? რა უნდა ვუპასუხო მაშინ? ვეტყვი, არა, არ დამინახავს მეთქი? მაგრამ მასწავლებელმა არაფერი ჰკითხა. იგი უბოლოდ უცქეროდა მოსწავლეებს. ბოლოს მან თქვა:

— უკვე დროა იცოდეთ, რომ გაკვეთილზე სტვენა არ შეიძლება. ზეღს ნუ მიშლით. გასაგებია?!

მასწავლებელი მიბრუნდა და ისევ წერას შეუდგა.

ვ ა ე კ ა ც ი მ უ ღ ა მ ს ი მ ა რ თ ლ ე ს უ ნ დ ა ა მ ...

მაგრამ სტვენა ისევ გაჟეორდა, წელანდელზე ხმადაბალი და ხანგრძლივი. ქონდარა შეკრთა. რა მოხდება ახლა, ნუთუ მასწავლებელი ამას მოითმენს?

მასწავლებელმა დაამთავრა სიტყვა „ამბობდეს“ დასვა წერტილი, ცარცი თაროზე დადო, ჩვირით ხელი გაიწმინდა და მაგიდასთან მივიდა.

— ვინ დაუსტვინა?

კლასი სდუმდა. არავინ იცოდა, ვინ დაუსტვინა. ეს მხოლოდ ქონდარამ იცოდა. იგი ცდილობდა, არ შეეხებოდა მასწავლებლისათვის და გვერდზე იყურებოდა. მასწავლებელმა წყნარად თქვა:

— ახლავე ადგეს, ვინც დაუსტვინა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ყველას აინტერესებდა, ვინ ადგებოდა, მაგრამ არა-

ვინ ღებოდა ფეხზე. კლასში დუმილი სუფევდა. მასწავლებელი უსიტყვოდ უშუქრდა ბავშვებს, მას წარბები შეეკუმუნა. წინა მერხზე მჯდომმა გურამმა ვერ მოითმინა:

— კმარა, ბიჭებო, გამოტყდით, რა დაგემართათ? — მას არავინ გამოეხმაურა. ბავშვების ჩურჩული კლასში ტალღებით მიდი-მოდიოდა.

— ეჰ, რა ხალხი ვართ, მასწავლებელს ვაწყენინეთ.

უცებ ყველა ახმაურდა:

— თქვით.

— გამოტყდით.

— ეს ნამდვილად დათო იქნებოდა.

დათომ წამოიწია და გურამს მრისხანედ გადახედა.

— რა? დანახე?!

— არ დამინახავს, მაგრამ...

— მაშინ ხმა გაკმინდე.

გურამი ცხარობდა:

— ეჰ, ერთი ვიცოდე!

ქონდარამ ჩუმათ თქვა:

— დათო, გამოტყდი...

— სხვა რაღა გნებავს? ენა დამიოკლე!

მოულოდნელად კარი გაიღო და კლასში მაღალი, ჰალარათმიანი, ვაგაკატური სახის დირექტორი შემოვიდა. ყველანი მწყობრად წამოდგნენ. ყველაზე ცოცხლად დათო წამოხტა. დირექტორმა გადახედა კლასს, შეხედა დაფას და თქვა:

— ერთმა თქვენგანმა სისძაგლე ჩაიდინა, მაგრამ ეს კიდევ არაფერია, უბედურება ის არის, რომ მას გამოტყვისა ეშინია.

დირექტორმა თავი გააქნია და დაუმატა:

— განა თქვენ, საბჭოთა მოსწავლეებს შეგფერით სიმზღლის გამოჩენა?!

მან მიიხედა დაფისკენ და — ხმადაბალია წაიკითხა:

„ ვ ა ე კ ა ც ი მ უ ღ ა მ ს ი მ ა რ თ ლ ე ს უ ნ დ ა ა მ ბ ო ბ დ ე ს ! “

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



42278 2148726

სამთა კახეთს დაჯიბის

ჩვენი დედა-ქალაქი

ჩვენი ქვეყნის სიღამაზე,
უწინესი ადგილი—
სუფიერული თბილისია
ჩვენი დედა-ქალაქი.

საქართველოს კული არას,
სამტკიცე და სიგისი,
უკუდუღის და ახალი
ჩვენი დიდი თბილისი.

მის დიდება, გამარჯვება,
ვინაც დაეცოდა ამაგი,
კანაახლა, ააშენი
ჩვენი თბილის-ქალაქი.

ჩვენი ქვეყნის სიღამაზე,
უწინესი ადგილი,
ეს ბერძნის ქალაქია,
ჩვენი დედა-ქალაქი.

ხუთი გმირი



ჯონდოს ძლიერ უხარია —
ხუთი გმირის სტუმარია!

სამეგრელო არ ენახა,
წელს ეწვია სტუმრად ბიძებს,
დასვენებაც ამას ჰქვია,
ხუთი გმირი უმასპინძლებს!

სახლი მოსწონს, დიდი ოდა
ამართული მაღალ სერთან,
ამ ოდაში, ამ ერთ სახლში
ხუთი გმირი ცხოვრობს ერთად.

აღბათ გიკვირთ, ხუთი გმირი
ერთ ოჯახში არ გინახავთ?
მაშ დაუგდეთ ჯონდოს ყური,
მოგიყვებათ ნამდვილ ამბავს:

— სკოლიდან რომ დაგვითხოვეს
კვლავ თბილისში დავრჩი განა?!
დედამ ნატვრა ამისრულა,
ბებიასთან წამიყვანა.

გამაოცა სამეგრელომ,
სულ ყანა და ბაღებია,
სიმინდებსაც ხეებივით
ტანი აუმაღლებიათ.

ჩამწკრივებულ ჩაის ბუჩქებს
აღარ უჩანს დასასრული,
ჯარად დგანან ნარინჯები
და ალევები ცადასული.

მარად მწვანე ნარგავები
სახლთან მოუგგუფებიათ,
ჩანან მწვანე ეზოები,
თითქოს მწვანე სუფრებია!





მივადექით ფართო კიშკარს,
ავგიტება ძალღმა ყეფა,
ერთხანს არვინ წამოვიდა
ჩვენთვის კარის გასაღებალ.

იღვა მაღალ სიმინდებში
ბრგე ვაჟკაცი უღალი ჩოხით,
ძახილი რომ გაიგონა
შეაჩერა წაშით თოხი.

სიხარულის კვესმა გაჰკრა
თვალთა მისთა უწყინართა,
შუბლგახსნილი მოგვეგება
მკერღზე ოქრო უბრწყინავდა.

ოდის კარიც გაჰრიალდა,
ბიძას მოჰყვა მამიდაცა,
გამოიქცა, გადაშკოცნა,
წამსვე ხელში ამიტაცა.

ისიც ვაჟკაც ბიძას ჰგავდა
კოხტას, ფართო მხარმკლავიანს
დაუაქქერდი, გამაოცა,
მის მკერღზედაც ვარსკვლავია!

ძლივს წამოღდა
ჯარგვლის კართან
მხეზე მჯდარი სათნო ღელა,
წელმოხრილი წამოვიდა,
წიწილები თან მოსდევდა.



სახე ჰქონდა დაღარული,
თმები, როგორც თეთრი თოვლი,
მამაჩემის ტკბილი ღელა
მომეხვია ხელის თრთოლვით.

დამიყვავა, გამომკითხა
გზაზე ხომ არ მომწყენია?
მისმა მკერდმა გამაქვირვა,
მის მკერღზედაც ორღენია!

ჩამოვჯექით დაღლილები,
ხეთა ჩრდილში, აივანთან,
სულ ერთ წამში დატრიალდნენ,
კოხტა სუფრა გაიმართა.

ფოთლებშირი ტალავერი
საამურად ჩრდილში გვხვევდა,
სუფრის თავში ღელა იჯდა—
მამაჩემის გმირი ღელა.

მომეფერა, მითხრა: „მეტად
გამახარე ნახვითაო,
ათი შვილი გამოვზარდე,
შენ არ იცნობ სათითაოდ.

მამაშენის უფროსი ძმა
ზესტაფონში მდნობელია,
მეორე ძმა აქვე სახლობს,
წყალგაღმა რომ სოფელია.



მესამე ძმა — უჩა ძია
ინჟინერად რუსთავეშია.

მეოთხე ძმა, გვერდს რომ გიზის
კოლექტივში თოხნის ყანას,
გმირი გახდა, არნახული
მოსავალი მოიყვანა!

ეს მამიდა თავს რომ გაღვას,
სულ ბაღში და ბოსტანშია,
მასაც გმირის ვარსკვლავი აქვს,
ჩაის კრეფის ოსტატია!

ორი ქალი შორს გათხოვდა,
მნახულობენ კანტი-კუნტად,
ორი ვაჟი ფრონტზე იყო,
მხოლოდ ერთი დამიბრუნდა!

ესა თქვა და კარის ზღურბლზე
აღიძარათა ახალგაზრდა,
მასაც ფართო მხრები ჰქონდა,
სახით ისიც მამას ჰგავდა.

ისიც ჩემი ბიძა იყო,
ისიც ჩემი მასპინძელი,
ცალი ხელით მომეხვია,
აღარ ჰქონდა ცალი ხელი.

სიხარულით უბრწყინავდნენ
თვალნი საცრის ოდენები,

მკერდი ჰქონდა დაფარული
მედლებით და ორდენებით.

ცალი ხელი თუმც არ ჰქონდა,
ღვესა ჰგავდა საოცარი,
გვერდს მომიჯდა გმირი ბიძა
ბერლინამდე ნაომარი.

უცებ ბიჭი შემოვარდა,
ჩემზე უფრო პაწაწინა,
დაიყვირა მოვედიო,
იქ მყოფები გაგვაცინა.

— ჩვენი გმირი! ჩვენი გმირი!
დაიძახა ყველამ ერთად,
ბიჭი ჯერ მე დამაკვირდა,
მერე ბიძებს შეაჩერდა!

ხელი ძმურად ჩამოვართვი,
გამაცუნეს და გავცვანი,
მოეფერნენ უფროსები
რალაც ჩუმი კაემანით.

ერთადერთი დარჩენოდა
ფრონტზე მოკლულ
ვაჟკაც ბიძას,
ბიძების და მამილების
სიყვარულით დასაფიცად.





მითხრეს: ეგეც გმირიაო,
ყველა გმირზე პაწაწინა,
ხუთებით და სიგელებით
გაგვახარა ამას წინათ.

ამ სიტყვებზე ბიძაშვილი
ფეხზე დადგა თითისტოლა,
კიბე სწრაფად აირბინა,
მეც სირბილით მიმიყოლა.

დერფანში დაველოდე,
გამოიჭრა ოდიდანა
და ფურცელი, სულ ხუთებით
ვაჭედელი მომიტანა.

ისევ სუფრას დავუბრუნდით
მხიარულად, განა ქუფრად,
ერთ ეზოში, ერთ ოჯახში
ხუთი გმირი უჯდა სუფრას.

ერთი იყო გმირი ღედა,
ათი შვილის ტკბილი ღედა,
ერთი ბრძოლის გმირი იყო,
მტერს რომ ცხელი ტყვიით
სღვედა.

ორი იყო შრომის გმირი,
ერთი პირმშო, მათი ძირი,
ჩემი კარგი ბიძაშვილი,
პაწაწინა სწავლის გმირი!

ხუთი გმირი ერთ ოჯახში!
ამის შემდეგ ვის არ ჯერა,
საქართველოს ზღვის პირეთი
მართლა გახდა გმირთა კერა!

და ჯონდოსაც უხარია,
რომ გმირების სტუმარია!



გაზაფხულის ზღაპარი

ზამთარი დნებოდა, იცრემლეებოდა.

გამოედგება ნაკადული, გაზაფხულის სითბო იგრძნო. ტანზე თოვლი და ყინული შემოადნა, ფეხი აიღვა, თანდათან ტალღები მოემატა, მოღონიერდა. ბროლის კენჭებზე ბროლის სიმები გააბა, ბროლის თითები ჩამოჰკრა, და ამღერდა. მღეროდა ნაკადული, მღეროდა და მთასა და ბარად ყველას გასძახოდა:—გაიღვიძეთ, გაზაფხული მობრძანდება!

ნაკადულის სიმღერა პირველად შველმა გაიგონა, იმასაც მობებრებოდა ბუზლუნა ზამთარი; სიხარულით შეიკუნტრუნა, მიირბინა ნაკადულთან, გაზაფხულის მოსვლა მიულოცა.

მერე მიწას პირი დაადო და ჩასძახა:—შროშნებო, იებო და ენძლეებო, გაიღვიძეთ, ამოდით, ზამთრისა ნულარ გეშინიათ, გაზაფხული შემობრძანდა, უთვალავი ფერადი სამკაული მოიტანა; დედამიწას რთავს და ჰქარგავს, თქვენი ნახვა ენატრება. ნაკადულმაც გაიღვიძა, ჩანგზე მღერის გაზაფხულის მობრძანებას.

ყვავილებმა პირველად ენძელა გამოგზავნეს: წადი გაიგე, რა ამბავია და შეგვატყობინეო.

ენძელამ დედამიწის ზღაპირზე თავი ამოჰყყო, აქა-იქ თოვლი დაინახა, შიშისაგან გააყრეოლა და თოვლივით გათეთრდა მზემ მიძახა: ნუ გეშინიაო, და სხივები მიაშველა.

ახლა ენძელა დაიხარა მიწაზე და ჩასძახა: იებო და შროშნებო, გაიგონეთ, ენძელა ვარ, ზამთრისა ნულარ გეშინიათ, გაზაფხული შემობრძანდა, დედამიწას რთავს და ჰქარგავს; ამოდით, ამოზიზინდით, თქვენი ნახვა ყველას ენატრებაო.



დღემიწამ ორთქლი აუშვა, თითქოს იმანაც გაიღვიძაო, ბალახით შეიმოსა.

ხეების კვირტებიდან მწვანე ფოთლებმა გამოიხედეს და მზის სხივებს დაეწაფნენ.

მაღე იებიც გუნდ-გუნდად ამოიშალნენ, თოვლითა და ყინულით დაღადრულ დედამიწას ლურჯი კალთები გადააფარეს, პაერი სურნელებით აავსეს.

იის მოსვლამ ყველაზე მეტი სიხარული გამოიწვია— გაიძახოდნენ: გაზაფხულის ნამდვილი მახარობელი მოვიდაო.

ნაკადულმა მოიხიშო მალეძარა ფრინველები: კოდალა, კაქკაქი, შაშვი, და უთხრა: წადით, სადამდეც თქვენი ხმა მისწვდება ახმიაანეთ ყოველი ხევი და ქალა, გამოალეციეთ ვისაც სძინავს და გაზაფხულის მოსვლა ახარეთო.

ფრთოსნებმა თანხმობის ნიშნად ფრთები შეისწორეს და გაფრინდნენ.

პირველად დათვის ბუნავს მიადგნენ. კოდალამ კარზე დაუკაკუნა, შაშვმა დაიქაბქაბა, კაქკაქმა შესძახა: — ამ ბუნავში თუ ვისმე გძინავთ, გაიღვიძეთ, ზამთრისა ნულარ გეშინიათ, გაზაფხული მოვიდა, მოიტანა სითბო, ფერადები, სამკაულები, არე-მარეს რთავს და ჰქარგავს, ნაკადულმა მახარობლად გამოგვაგზავნაო.

ბუნავიდან დათვმა გამოჰყო გაბურული თავი და აბუზლუნდა: აქედან დამეკარგეთ, მყუდროებას ნუ მირღვეთ. თქვენი გაზაფხული არას მარგია, ჩემი სიხარული შემოდგომაა; იმას ჩემთვის მოაქვს: წაბლი, თხილი, კაკალი, პანტა და შეინდიო.

— შე ყვეერთო დათვნიავ, — უთხრა კაქკაქმა, — ხეები თუ გაზაფხულმა არ ააყვავა, შემოდგომაზე ხილი საიდან გაჩნდება. თაფლი რომ გიყვარს, ისიც ხომ ყვავილების სიტკმოა?! ამ სიტყვებზე თაფლი-ქამია აბურტყუნდა... შიკრიკებმა სიცილი ასტეხეს. მხარი-მხარს შემოჰკრეს და გაფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და მიადგნენ

ასწლოვან, ხავსმოდებულ, ფულურო მუხას.

კოდალამ ფულუროს კარზე დააკაკუნა, შაშვმა დაიქაბქაბა, კაქკაქმა დაუძახა: — ამ ფულუროში თუ ვისმე გძინავთ, გაიღვიძეთ, ზამთრისა ნულარ გეშინიათ, გაზაფხული მოვიდა, მოიტანა: სითბო, ფერადები, სამკაულები, არე-მარეს რთავს და ჰქარგავს. ნაკადული მღერის, შველი მწვანეზე დაკუნტრულშებს, იები და შროშნები ტყეს სურნელებით ავსებენ. საცაა გუშული და მოლაღურიც მოფრინდებიანო.

ფულუროდან ციყვმა გამოიხედა; სტუმრებს ერთი მუკა თხილის ნაქუტი მიაყარა, ბანჯგვლიანი კუდით ფულურო მიგავ-მოგავა, ერთი გულიანად გადაიხარხარა და ისევე შეიშალა.

გაბრაზდნენ მალეძარები და გაფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და მიადგნენ გამოქვაბულს.

კოდალამ კარზე დააკაკუნა, შაშვმა დაიქაბქაბა, კაქკაქმა დაუძახა: ამ გამოქვაბულში თუ ვისმე გძინავთ, გაიღვიძეთ, ზამთრისა ნულარ გეშინიათ. გაზაფხული მოვიდა, მოიტანა სითბო, ფერადები, სამკაულები, არე-მარეს რთავს და ჰქარგავს.

გამოქვაბულიდან გამოსძახეს: — გმადლობთ, გმადლობთ ფრინველებო, აქ ბუები, კოტეზი და ლამურები ვცხოვრობთ, დღისით ვერაფერსა ვებრავთ, დაღამდება და გამოვფრინდებითო.

შიკრიკებმა მიატოვეს გამოქვაბული და გაფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და ერთ სოროს წააწყდნენ. კარებთან ჩამოსხდნენ და დაისვენეს.

კოდალამ თქვა: დეაკაკუნებო, მაგრამ კაქკაქმა შეაჩერა და უთხრა: აქ ნამდვილად მელია ცხოვრობს. აი, მისი კვალი. ის ისეთი ცბიერია, რომ არ დაგვიწოდებს, უკეთესია, ახლავე გავეცალოთო, — და მართლაც ჩუმად გაფრინდნენ. მელიას



ხმაურზე გამოელვძია, თავი გამოჰყო. იცნო მალეძარა ფრინველები და დაენანა, რომ თავისი ოინები ვერ გამოიყენა.

მალეძარებმა იფრინეს, იფრინეს და ბოლოს სოფელს თავზე გადაუფრინეს. ყოველი ეზო-კუნძული დაათვალიერეს და გაოცდნენ, მთელი სოფელი — დიდი და პატარა ფეხზე იდგა. მინდვრებზე კოლმეურნეები გამოშლილიყვნენ, ხენა-თესვას შესდგომოდნენ. ისმოდა გუთნური, ურმული. გუგუნებდნენ ტრაქტორები, კვალს კვალზე აწყობდნენ და ხნულებს ავლებდნენ.

ყანის გამწენი, ოქროსფერი თესლი ხნულებში ცვიოდა და ნიადაგი მარცვლებს გულში იხუტებდა.






შემოდგომის ხნულებში აქაჩრილი ჯეჯილი ბიბინებდა, ვენახები და ხეხილები ყვავილებით დაბურულიყვნენ.

— სოფელს უჩვენოდაც გაუგია გაზაფხულის მოსვლა, შრომას დროულად შესდგომიაო, — ჩაილაპარაკა კაკკაქმა და ტყეს მიაშურა. შაშვი და კოდალაც უკან მიყვნენ.



ც უ გ ლ და ფ ი ს ლ

ნახატები ან. კანდელაკისა



ბავშვებო! ამ სურათების მიხედვით, შეადგინეთ მოთხრობა და გამოგვიგზავნეთ. საუკეთესოდ დაწერილი ნაწარმოები დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.



